პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

9 თებერვალი ოთხშაბათი 1972 წელი 2 კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან № 33 (15245)

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოთა საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების დაჩქარების საქმეში ლენინგრადის, ნოვგოროდის, დონეცკისა და ვიტებსკის ოლქების სამშენებლო ორგანიზაციათა და საწარმოთა ინიციატივის შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ლენინგრადის, ნოვგოროდის, დონეცკისა და ვიტებსკის ოლქების სამშენებლო ორგანიზაციათა და საწარმოთა კოლექტივების ინიციატივა, რომლებმაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად, ემზადებიან რა ღირსეულად შეხვდნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავს, 1972 წლისათვის იკისრეს სოციალისტური ვალდებულებანი — შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, წარმოების რეზერვების ფართოდ გამოყენების, სამუშაოთა მექანიზაციისა და პროგრესული მეთოდების დანერგვის, რესურსების კონცენტრაციის, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების გზით ვადამდე შესასრულონ კაპიტალური მშენებლობის გეგმა და მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის ყველა მშენებლობაზე სიმძლავრეთა ამოქმედების დავალებანი. ამ დარგების ობიექტების უმრავლესობა საექსპლოატაციოდ გადასცენ გეგმით დადგენილ ვადებზე. მნიშვნელოვნად აღრე.

მიღებულ დადგენილებაში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საწარმოთა მშენებლობისა და ამოქმედების დაჩქარებისათვის კოლექტივთა სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ განვითარებას, რომლებიც აწარმოებენ მოსახლეობისათვის საჭირო საქონელს, მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის ობიექტების მშენებლობის ძირეული გაუმჯობესება, ამ დარგებში საწარმოო სიმძლავრეთა გასაზრდელად მეცხრე ხუთწლედის დავალებათა უთუოდ შესრულების უზრუნველყოფა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანაა.

მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს მშენებლობათა და შემკვეთ საწარმოთა პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ მხარი დაუჭირონ ამ თაობაზე ფართოდ გაჩაღებულ სოციალისტური შეჯიბრება საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების დაჩქარებისათვის, აღნიშნული დარგების ყველა მშენებლობაზე გეგმების უთუოდ შესრულების უზრუნველყოფისათვის.

სსრ კავშირის სახმომარაგება, სამშენებლო და სამრეწველო სამინისტროები მოგალენი არიან განიხილონ მშენებლობათა და საწარმოთა კოლექტივების ღონისძიებანი მასობრივი მოთხოვნილების საქონლის გამოშვების ახალ სიმძლავრეთა ამოქმედების დაჩქარებისათვის და უზრუნველყონ მშენებლობათა დროული დაკომპლექტება საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებითა და მოწყობილობით. იმ საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებსა და ხელმძღვანელებს, რომლებიც ასრულებენ შეკვეთებს მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის მშენებლობებისათვის, წინადადება მიეცათ განაორციელონ ღონისძიებანი მოწყობილობის, კონსტრუქციებისა და ნაწარმის ვადამდე დამზადებისათვის, დააწესონ კონტროლი მათი მიწოდებისადმი.

საბჭოთა კავშირში მუჯიბურ რაჰმანის მომავალი ვიზიტის გამო

ბილღეული შეთანხმებების შესაბამისად ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი **შეიხ მუჯიბურ რაჰმანი** საბჭოთა კავშირს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა მომდინარე წლის მარტის დამდეგს, როგორც საბჭოთა მთავრობის სტუმარი.

შეჯიბრების მოწინავენი

რეალიზაციას, ხარისხიც

თბილისი. ყველა მაჩვენებლით გადაჭარბებით შესრულა იანვრის გეგმა და ნაკისრი ვალდებულება თბილისის სართავ-საატრიოტაჟო კომბინატის კოლექტივმა. დავალების გადამეტებით რეალიზებულია 173 ათასი მანეთის პროდუქცია, გამოშვებულია 731,9 ათასი ცალი ტრიკოტაჟის ნაწარმი, რაც დავალებას ბევრად აღემატება.

მრთველებმა და მეტრიკოტაჟეებმა იანვარში ამლებურად წარმართეს სოციალისტური შეჯიბრება. იმ მუშებმა, რომლებიც ხუთი დღის დავალებას ოთხ დღეში ასრულებდნენ, ვალდებულება იკისრეს მკვეთრად გაუმჯობესონ პროდუქციის ხარისხიც. ამ შეჯიბრებამ დადებითი შედეგი მოიტანა, კომბინატმა პროდუქციის რეალიზაციის დავალების შესრულების მაჩვენებელი გასულ წელთან შედარებით ბევრად გაზარდა.

კომბინატის მოწინავე ნოვატორმა მუშებმა დამკვრელურად აღნიშნეს თებერვლის პირველი დღეებიც. მათი პირადი ვალდებულებაა თებერვლის ბოლოს დაამთავრონ კვარტალის დავალება. ამ ინიციატივას კომბინატის ბევრი მუშა უჭერს მხარს.

წარმოება ასორტიმენტი

თბილისი. № 2 სატრიკოტაჟო ფაბრიკის (დირექტორი დ. ბენდელიანი) კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა იანვრის დავალება, მომხმარებელს გეგმის გადამეტებით მიჰყიდა 30 ათასი მანეთის პროდუქცია. განახლდა მოდელები, გაფართოვდა ასორტიმენტი.

აღსანიშნავია, რომ მეტრიკოტაჟეებმა გეგმასთან შედარებით გაუმჯობესეს პროდუქციის ხარისხის მაჩვენებელი. შეჯიბრებაში წინ მიდიან ხაქსოვი წარმოების, სამკერვალო საამქროს და ლენინგორის სამკერვალო წარმოების კოლექტივები, რომლებსაც თ. ყიფიანი, ჯ. ტაბატაძე, ს. გაბაევი ხელმძღვანელობენ. ხუთი დღის დავალებებს ოთხ დღეში ასრულებენ მქსოველები მ. გოგინავა, მ. ბზიავა, მკერავები გ. პაიჭაძე, ა. აკოფოვა, ქვეოსტატები ბ. ახობაძე, ნ. ჯოხაძე.

მეტრიკოტაჟეებს გადაწყვეტილი აქვთ თებერვლის დავალება ვადაზე სამი დღით აღრე შეასრულონ.

ყველა მაჩვენებლით

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ლითოფონის ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც ზედიზედ ცხრაჯერ გამარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, კიდევ უფრო გაძლიერა შრომის ტემპი და ყველა მაჩვენებლით გადაჭარბა მიმდინარე წლის იანვრის დავალებას. გეგმის ზევით გამოშვებული და რეალიზებულია ათეულ ათასობით მანეთის პროდუქცია.

ქიმიკოსებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი 1972 წლის გეგმა ვადაზე აღრე, 26 დეკემბრისათვის შეასრულონ და საშობაოლოს დავალების გადამეტებით მისცეს ასეულ ათასობით მანეთის პროდუქცია.

დამკვრელურ შრომის ვახტზე

ჯილდოები საუკეთესოებს

ახრციელებენ რა სკკპ XXIV კრების გადაწყვეტილებებს და ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება მეცხრე ხუთწლედის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, ამერკკასის მაგისტრალის მშრომელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს 1971 წლის IV კვარტალში. აღრესატებს გეგმის გადაჭარბებით ჩაბარეს 1.200 ათას ტონაზე მეტი სასალხო-სამეურნეო ტვირთები. რკინიგზელებმა ამასთან დაიჭარეს მორავი. შემადგენლობის ბრუნვა და შეამცირეს ტვირთზიდვის თვითღირებულება. ამის შედეგად დაზოგილია თითქმის ერთიორად მეტი ელექტროენერგია და დიზელის სათბობი, ვიდრე ვალდებულებით იყო გათვალისწინებული, ხოლო მოგების გეგმა 8,5 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულეს. ამ წარმატებებისათვის რკინიგზის კოლექტივი ცნეს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად, მას მიენიჭა სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით განაღდებისათვის, გასული წლის IV კვარტალის მუშაობის მაჩვენებლების მიხედვით სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს სატრანსპორტო საწარმოთა ცალკეული კოლექტივი.

მაღალი შეფასება დაიმსახურა ტრანსპორტის მშენებელთა თავდადებულმა მუშაობამ, რომლებსაც სამი კვარტალის მანძილზე ზედიზედ ეკავათ პირველი ადგილი ქვეყნის მონაწილეობა საწარმოთა შორის. მათ მეოთხე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით მიენიჭათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

თბილისის სალიანდაგო დისტანციის მშრომელებს მიენიჭათ სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, ხოლო სამტრედიელ მელიანდაგეებს წილად ხვდათ მეორე სრულიად საკავშირო პრემია. მესამე სრულიად საკავშირო პრემიები მიენიჭათ ხაშურის საუნო სადგურისა და სამტრედიის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის კოლექტივებს.

მაღალი ჯილდოების პასუხად ამერკკასის მაგისტრალის რკინიგზელებმა იკისრეს ახალი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი 1972 წლისა და მთლიანად მეცხრე ხუთწლედის საწარმო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის (საქინფორმი).

დავაჩქაროთ ტექნიკური პროგრესი

ერთობლივი ინფორმაცია

ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და საქართველოს ჩაის ტრესტის მუშაკთა ერთობლივი ღონისძიებანი

ახალ ხუთწლედში დიდი ამოცანების წინაშე დგას საქართველოს ჩაის მრეწველობა, ნაკისრია, ვალდებულება თითქმის მთლიანად დაკმაყოფილდეს ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება მაღალხარისხოვანი სამაესლო პროდუქციით.

1975 წლის ბოლოსათვის მეჩაიეებმა უნდა მოკრიფონ 800.000 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ამ უზარმაზარი ნედლეულის ხარისხოვნად გადამუშავება შეუძლებელია, თუ არ დაჩქარდა ტექნიკური პროგრესი, თუ ჩაის მრეწველობაში არ დაინერგა მეცნიერული აზრის სიახლენი, არ გაუმჯობესდა ტექნოლოგია, არ გადიდდა არსებული სიმძლავრენი.

ამიტომაც არის, რომ ტრესტ „საქჩაის“ საწარმოთა კოლექტივებმა ახალ სიმაღლეზე აიყვანეს მეცნიერებასთან შემოქმედებითი თანამშრომლობა, ურთიერთდახმარება. ხელშეკრულება დაიდო ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივთან. თვითეულმა იკისრა კონკრეტული ვალდებულებანი.

ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი კისრულობს:

ერთად „საქჩაის“ სპეციალისტებთან ერთად 1972-1975 წლებში დაამუშაოს და წარმოებაში დანერგოს 26 მნიშვნელოვანი ღონისძიება, მათ შორის: ჩაის ტექნოლოგიის გაუმჯობესებისათვის — 12, საწარმოო პროცესების მექანიზაციისათვის — 6, სტანდარტიზაციისა და ახალი პროდუქციის გამოშვებისათვის — 3, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისათვის — 5; ამ ღონისძიებების დანერგვით ჩაის მრეწველობამ მიიღოს 1,5 მილიონი მანეთი ეკონომია, გამოთავისუფლდეს 250 მუშა.

იბრძოლოს პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის. დაამუშაოს: ჩაის ნედლეულის ხარისხის განმსაზღვრელი ობიექტური მეთოდები, გამსხვილებული ასორტიმენტით შავი ჩაის წარმოების ტექნოლოგიური სქემა, რაც ჩაის პირველად გადამამუშავებელ ფაბრიკებს საშუალებას მისცემს შეამცირონ პროდუქციის სახეობათა რაოდენობა, გააუმჯობესონ მექანიზებული წესით მოკრეფილი ფოთლიდან სხვადასხვა სახის ჩაის წარმოების ტექნოლოგია; სრულყოს შავი და მწვანე ჩაის მწარმოებელი მოქმედი ნაკადური ხაზები და დაამუშაოს მათი ახალი ვარიანტები, რაც ხელს შეუწყობს გრეხვის პროცესის ინტენსიფიკაციას; გააუმჯობესოს აგრეთვე არსებული მანქანები და შექმნას ახალი მაღალეფექტური მანქანები ნახევარფაბრიკატების დახარისხებისა და ჩაის გამდიდრებისათვის;

დაამუშაოს მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები, მეთოდური და ნორმატიული მასალები ჩაის მრეწველობის საწარმოთა ეფექტიანობის ამაღლებისათვის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისათვის და ტრესტის სპეციალისტებთან ერთად დანერგოს ისინი წარმოებაში;

1975 წლისათვის დაამთავროს იმ თემების დამუშავება და წარმოებაში დანერგვა, რომლებიც კიდევ უფრო გააუმჯობესებენ სამამულო ჩაის პროდუქციის ხარისხს, აამაღლებენ მის ბიოლოგიურ ღირებულებას, მექანიზებულს გახდიან შრომატევად ტექნოლოგიურ პროცესებს; დაეხმაროს ტრესტის კოლექტივებს იმაში, რომ მომზადდეს და „ხარისხის სახელმწიფო ნიშანი“ მიენიჭოს ჩაის ცალკეულ სახეობებს;

დაეხმაროს წარმოების მუშაკებს აიმაღლონ კვალიფიკაცია, ამისათვის ჩაატაროს ერთობლივი კონფერენციები, სემინარები, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს წარმოების რეზერვების გამოვლინების, საწარმოთა სიმძლავრეების მაქსიმალურად გამოყენებისა და წარმოების ნარჩენების შემცირების ერთობლივ ღონისძიებებს.

ტრესტი „საქჩაი“ კისრულობს:

ყველმხრივი დახმარება გაუწიოს ინსტიტუტის მუშაკებს ჩაის ფაბრიკებში განახორციელონ მათ მიერ ნაკისრი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი. ჩაატაროს ინსტიტუტის მიერ შემოთავაზებული ტექნოლოგიური სქემებისა და ახალი სახის მოწყობილობის საწარმოო გამოცდა და დანერგოს ისინი წარმოებაში;

ინსტიტუტის წარმომადგენლებთან ერთად სამეცნიერო-ტექნიკური ნაბჯის სხდომებზე სისტემატურად განიხილოს ინსტიტუტის მიერ დამთავრებული საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, და დაეხმაროს საცდელი ნიმუშების დამზადების საქმეში;

1972 წელს პირველადი გადამუშავების ჩაის 10 ფაბრიკაში დანერგოს მზა პროდუქციის გამამდიდრებელი მანქანები, დაამთავროს გრეხვის მექანიზებული ხაზების არსებული ვარიანტების საწარმოო გამოცდა; პირველადი გადამუშავების 10 ჩაის ფაბრიკის პერიფერიულ და ცენტრალურ მიმღებ პუნქტებში მექანიზებული გახადოს შრომატევადი პროცესები, ხოლო ხუთწლედში მექანიზაცია დანერგოს 50 ფაბრიკაში;

1972 წელს პირველადი გადამუშავების ჩაის 22 ფაბრიკაში, ხოლო ხუთწლედის ბოლომდე 40 ფაბრიკაში განახორციელოს შავი და მწვანე ჩაის ნახევარფაბრიკატების ერთდროულ-პარალელური დახარისხება არსებული დამხარისხებელი საამქროების გაფართოების გზით;

მეცნიერების მიღწევებზე, ახალ ტექნიკასა და წარმოების მოწინავეთა გამოცდილებაზე დაყრდნობით მიაღწიოს იმას, რომ პროდუქციის გამოშვების ფლიური გეგმა შეასრულოს 25 დეკემბრისათვის, ხოლო რეალიზაციისა — 27 დეკემბრისათვის, შრომის ნაყოფიერება აამაღლოს 1,8 პროცენტით, მიიღოს 200 ათასი მანეთი მოგება.

ვალდებულებები განხილულია ინსტიტუტისა და ტრესტის კოლექტივების აქტივის კრებებზე.

კოლეკტივების დავალებით:

ბ. ხარებავა,
ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

რ. ხოფერია,
ტრესტ „საქჩაის“ მმართველი.

მათ თავი ისახელეს

სახელოვანი ადამიანები მყავს დუშეთის რაიონის გუდამაყრის კოლმეურნეობას. მათ შორის ხოფელში უწინარეს ყოვლისა ძმებს — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს **სულიკო წიკლაურს** (მარცხნივ) და ლენინის ორდენოსან **გიორგი წიკლაურს** დაგისახელებენ. სულიკო და გიორგი არაერთხელ გამოსულან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი. შარშან მათ დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ბატკნის მიღებისა და შენარჩუნების, მატყლის ჩაბარების დავალებანი.

ძმები ახლა ნოლაეთის ზამთრის საძოვრებზე იმყოფებიან. მათი ვალდებულებაა 100 დედაცხვარზე 100 ბატკანი მიიღონ, კვლავაც გაადიდონ მატყლის ნაპარსი და მშობლიურ მთებს გამარჯვებული დაუბრუნდნენ. **სურათზე:** ძმები **სულიკო** და **გიორგი წიკლაურები.**

ფოტო ი. წიკლაურისა.

მზიური რესპუბლიკის ადამიანებზე

მოსკოვი, (საკადესის კორ.). საბჭოთა აიგიზეთის ეკრანის ოსტატებს სოციალისტური ნაწარმოებს დაუთმეს თავიანთი დარბაზები მოსკოვის უდიდესმა კინოთეატრებმა. მოძმე რესპუბლიკების ფილმების ჩვენება ეძღვნება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს და მოეწყობა **ყველა მოკავშირე** რესპუბლიკაში, დიდ ქალაქებსა და დაბებში. მაყურებელნი გაეცნობიან მ. უბუკეევის, ბ. შამშიევის, ტ. ოკეევის, ლ. ტერტუსპკოვის, კ. კიდირალიევის, მხატვრული და დოკუმენტური კინოს სხვა რეჟისორების ნაწარმოებებს.

წარმოდგენილ სურათებს „ბორის აირის „სროლა ყარაშის უღელტეხილზე“, რომელსაც პრემია მიენიჭა სრულიად საკავშირო კინოფესტივალზე 1970 წელს; „საფარი“, რომელიც ეხება მესაზღვრეთა რაზმის მიერ ბასმაჩთა ბანდის ლიკვიდაციას; „ჩვენი ბავშვობის ცა“, რომელიც ასახავს მწყემსების ცხოვრებას, თაობათა მემკვიდრეობითობას; სურათი „ფდიის ველი“, რომელიც გადაღებულია ლენინური პრემიის ლაურეატის ჩ. აიტმატოვის მოთხრობის მიხედვით და ეძღვნება სამშობლოსათვის ბრძოლებში დაღუპულ გმირებს.

გაიხსნა საერთაშორისო წიგნის წელი

მსოფლიოში გამოსული ყოველი შვიდასე წიგნი საბჭოურია. ჩვენმა ქვეყანამ შეიძინა წიგნის საქმის განვითარების, სულიერი კულტურის საგანძურთან ხალხის უფართოესი მასების გაცნობის უმდიდრესი გამოცდილება. საბჭოთა კავშირის წინადადებით 1972 წელი იუნესკომ წიგნის საერთაშორისო წლად გამოაცხადა.

სსრ კავშირში წიგნის საერთაშორისო წლის გახსნას მიეძღვნა დედაქალაქის საზოგადოებრივობის კრება, რომელიც 7 თებერვალს გაიმართა.

სსრ კავშირის წიგნის საერთაშორისო წლის მომწყობი ეროვნული საორგანიზაციო კომიტეტის სახელით შეკრებილთა მიესალმა მისი თავმჯდომარე სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა, რომელმაც საზეგასმით აღნიშნა, რომ ასეთი დღესასწაული მსოფლიო ისტორიაში პირველად ეწყობა. დარწმუნებული ვართ, თქვა მან, რომ წიგნის საერთაშორისო წელი დიდ გავლენას მოახდენს არა მარტო ცალკეული ქვეყნების კულტურულ ცხოვრებაზე, არამედ ხელს შეუწყობს კიდეც ხალხთა შორის თანამშრომლობის განმტკიცებას.

ჩვენს ქვეყანაში წიგნის გამომცემლობის საქმის გაკანონების შესახებ ილაპარაკა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. ი. სტუკალინმა. 53 წლის მანძილზე ჩვენში გამოშვებულია 2,5 მილიარზე მეტი დასახელების წიგნი, რომელთა საერთო ტირაჟი 36 მილიარდი ცალია. იუნესკოს მონაცემებით, საბჭოთა კავშირსა მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს წიგნების გამოცემით. წიგნი იყო მარქსიზმ-ლენინიზმის — ეპოქის ყველაზე მოწინავე მოძღვრების ფართოდ — გავრცელების მძლავრი საშუალება (საკადესის კორ.).

ილ-18 მიფრინავს ლაქაში

აეროფლოტმა მოაწყო რეგულარული საჰაერო მიმოსვლა ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკაში. დედაქალაქის შერემეტიევოს აეროდრომიდან 7 თებერვალს აფრინდა ლაინერი ილ-18 და გეზი აიღო ლაქისაკენ. მისი მარშრუტი გადის თეირანსა და ბომბეიზე. ამ ტრასაზე საბჭოთა თვითფრინავები იფრენენ კვირაში ერთხელ.

ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკა სამოცდამესამე სახელმწიფოა, რომელთანაც ჩვენს ქვეყანას ახლა პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა აქვს. (საკადესი).

□

აპარატი აღნიშნავს ყვარების ადგილს

მინსკი. განმანაწილებელ ელექტროქსელებში ფაზათაშორისი მოკლე შერთვის ადგილის სწრაფად მონახვაში მონტიორებს დაეხმარება სპეციალური მოწყობილობა, რომელიც ბელორუსიის სსრ ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველოს ინჟინრებმა შექმნეს. ასეთი აპარატის გამოყენება მნიშვნელოვნად შეამცირებს მომსახურე პერსონალის რიცხვს.

(საკადესის კორ.).

ახალი სადგური

საწარმოო გაერთიანება „ერანაია ზარიამ“ გამოუშვა კოორდინატული სისტემის ავტომატური სატელეფონო სადგურების პირველი პარტია.

წინა სატელეფონო კომპლექსებისაგან განსხვავებით ამ სადგურს თითქმის არა აქვს მოსახსნელ დეტალები. თუ სხვა ავტომატურ სატელეფონო სადგურებში ზოგიერთ დაზიანებას ნომრების გამორთვა მოსდევს ხოლმე, კოორდინატული სადგურის კონსტრუქცია ამას სავსებით გამორიცხავს, შემაერთებელი კომუტატორული მოწყობილობა მაშინვე მოძებნის თავისუფალ ხაზს და აბონენტს დართავს.

ავტომატური სატელეფონო სადგური შეიმუშავეს სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპეციალისტებმა. სამოდელო გამოშვება წარმოებს საერთო საბაზო მოდელის საფუძველზე.

მხოლოდ სიახლენი

● **რიაზანი.** სასმელი წყლის სამოლიტრიანი თერმოსების საცდელი პარტია დაამზადეს ალუმინისა და თხელსაიზოლაციო პლასტიკისაგან რიაზანის ელექტრონული ხელსაწყოების ქარხანაში. წელს საწარმოს ნაკადური ხაზიდან გადმოვა 250 ათასი ასეთი თერმოსი.

● **ნოფტეკამსკი.** (ბაშკირეთის ასსრ). 10 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია გამოიმუშავა საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ კარმანოვსკის საბჭოთა ბაშკირეთის 50 წლისთავის სახელობის სახელმწიფო რაიონულმა ელექტროსადგურმა. ყოველდღიურად სადგური აწარმოებს მილიონობით კილოვატ-საათ ზეგენმით ენერგიას.

● **სოფეტსკაია გავანი.** პროდუქციის პირველი პარტია გამოუშვა თათრის სრუტის სანაპიროზე აგებული დიდმანილიანი სახლთმშენებლობის საამქრომ. მომდინარე ხუთწლედში ამ რაიონში საექსპლოატაციოდ გადაეცემა თეატრის, ხე-ტყისა და მრეწველობის სხვა დარგების 10 მსხვილი საწარმო. სწორედ ამ მშენებლობებს გაეგზავნებათ ახალი საამქროს პროდუქცია.

● **სტერლიტამაკში** დაიწყო მძიმე სოდის საწარმოს მშენებლობა, რომელიც პირველია ჩვენს ქვეყანაში. ჩვეულებრივი კალცინირებული სოდისაგან იგი გამოირჩევა უფრო მსხვილი კრისტალებით და მაღალი ნაყარი წონით, იგი უფრო კარგად უერთდება სხვა კომპონენტებს, რის გამოც დიდად ფასობს მინის მრეწველობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. (საკადესი).

პირველი ავტომატიზებული

მოსკოვის განაპირას, მასობრივი საბინაო მშენებლობის ერთ-ერთ რაიონში, მწყობრში ჩადგა უთითსტარო დართვის ავტომატიზებული ფაბრიკა, რომელიც პირველია საბჭოთა კავშირში.

თანამედროვე ნათელ შენობაში განლაგდა საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიური წარმოების პნევმატური მანქანები. მათ თითსტარები არა აქვთ: ძაფი გამოდის ჰაერის ბაგლისა და ცენტრიდანული ძალის გამოყენებით. დაზგების წარმადობა მნიშვნელოვნად უფრო მაღალია.

ფაბრიკაში 400-ზე კაცი მუშაობს. ყველამ წარმატებით აითვისა ახალი ტექნიკა. მალე მოქმედებას დაიწყებს ცენტრალური სადისპეტჩერო პულტი. სხვადასხვა უბანზე დადგმული თორმეტი სატელევიზიო კამერა „მოახსენებს“ ხოლმე დისპეტჩერს მათი მუშაობის შესახებ. **ხურათზე:** მოსკოვის უთითსტარო დართვის ფაბრიკის ერთ-ერთი ავტომატიზებული ხაზი.

ფოტო ბ. რუნოვისა. (ახალი ამბების საგენტო).

ვამრავლოთ თეთრი ქარავნები

ერთიანი ბიბლიოთეკა

ეს დღეები ნოღაითში

ჩვენი გაზეთის სპეციალური კორესპონდენტი ი. თედიაშვილი იანვრის მეორე ნახევარში იმყოფებოდა ნოღაითის ზამთრის საძოვრებზე.

ნოღაითში ამჟამად მკაცრი ზამთარია. თითქმის ერთი თვეა განუწყვეტლივ თოვს, ყინავს, ზოგჯერ ქარბუქი მძვინვარებს. დღლი კი ახლოვდება. კიდევ რამდენიმე დღე და მასობრივად დაიწყება ბატკნის დაბადება — ყველაზე რთული პერიოდი მეცხვარეთა ცხოვრებაში.

ახლა ქართველი მეცხვარეები ენერგიულად შრომობენ იმისათვის, რომ უდანაკარგოდ გამოაზამთრონ ცხვარი, „შეინარჩუნონ მიღებული ნამატი.

სწორედ მეცხვარეთა ამ მამაცურ შრომაზე მოუთხრობს მკითხველს ეს გვერდი.

ჯილდოები, მადლობა

ნცენის ოსტატების ფესანიშნავი თაოსნობა

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, ამას წინათ ყაზლარის ზამთრის საძოვრებზე ჩავიდნენ და საშეფო კონცერტები გამართეს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ცნობილმა არტისტებმა. ეს იყო ამ კოლექტივის შესანიშნავი ინიციატივა, რომელიც მისაბაძი მაგალითია.

ზამთრის საძოვრებზე მათ მეტად მკაცრი ზამთარი დაუხვდათ. მაგრამ მონდომებამ, საქმის სიყვარულმა გადალახა ნოღაეთის სიძნელეები და წარმატებით გამართეს ჩვენს სახელოვან მეცხვარეებთან მეგობრული შეხვედრები, კონცერტები.

ნოღაეთის საშეფო კონცერტების მონაწილეებს: საქართველოს სსრ სახალხო არტისტებს — **დ. მეკალიძეს, თ. მუშაკაძეს**; სსრ კავშირის სახალხო არტისტებს — **პ. ამირანაშვილს, ზ. ანჯაფარიძეს**; საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს — **გ. ტორონჯაძეს**, მსახიობს **მ. დონაძეს**, ბალეტის მსახიობს **ზ. ბერიაძეს**, კონცერტმეისტერს **ლ. შაბანოვს** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროების გაერთიანებული კოლეგიის გადაწყვეტილებით გადაეცა „**სოფლის მეურნეობის წარჩინებულის**“ სიგელები.

მარად დაუშინყარი

ამას წინათ ნოღაეთის ზამთრის საძოვრებზე საშეფო კონცერტები გამართეს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბრიგადამ. ეს იყო ამ კოლექტივის ინიციატივა, რომელიც მისაბაძი მაგალითია.

ზამთრის საძოვრებზე მათ მეტად მკაცრი ზამთარი დაუხვდათ. მაგრამ მონდომებამ, საქმის სიყვარულმა გადალახა ნოღაეთის სიძნელეები და წარმატებით გამართეს ჩვენს სახელოვან მეცხვარეებთან მეგობრული შეხვედრები, კონცერტები.

ბრიგადის ბალეტმეისტერ ლ. ბერიაძეს, ბალეტმეისტერ ზ. ბერიაძეს, ბალეტმეისტერ ნ. ბერიაძეს, ბალეტმეისტერ ნ. ბერიაძეს, ბალეტმეისტერ ნ

ახალგაზრდა დღე

სოლიდარობის მძლავრი ძალა

საკდესის მიმოხილვა

მსოფლიო ასამბლეა ინდოჩინეთის ხალხთა მშვიდობისა და დამოუკიდებლობისათვის, რომელიც მეოცესლში გაიმართება 11-დან 13 თებერვლამდე, იქნება საერთაშორისო საზოგადოებრივობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და წარმომადგენლობითი ფორუმი.

75-ზე მეტი ქვეყანა გაგზავნის თავის დელეგაციას ასამბლეაში მონაწილეობისათვის, ვერსალში ჩავლენ ინდოჩინეთის მშვიდობისათვის მებრძოლი ყველა ეროვნული საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები: ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე 30-ზე მეტი დიდი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები. მათ შორის პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ქალთა საერთაშორისო ლიგისა და ბევრი სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

საზოგადოებრიობის ესოდენ დიდი ინტერესი მომავალი ასამბლეისადმი **საკმაოდ** გასაგებია. ეს ფორუმი საერთაშორისოდ მიიჩნიეთ დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენად. იგი იქნება ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ მებრძოლი ინდოჩინეთის ხალხებთან საერთაშორისო სოლიდარობის არა მარტო მძლავრი დემონსტრაცია, არამედ მასზე განხილველ აგრეთვე საკითხს იმის შესახებ, თუ რა ახალი ფორმები მიიღოს ამ სოლიდარობამ, **რათა** იგი კიდევ უფრო ქმედითი და ეფექტიანი გახდეს.

ამას წინათ პრაღაში გამართულმა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირმა მიიღო სპეციალური განცხადება ინდოჩინეთში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის განგრძობასთან დაკავშირებით.

ეს დოკუმენტი მოუწოდებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების ინტერესები, კიდევ უფრო აქტიურად გაუწიონ სოლიდარობა ინდოჩინეთის ხალხებს. ამ მოწოდებას ფართოდ გამოეხმაურნენ ყველა კონტინენტზე. მშვიდობისმოყვარე ძალებს ესმით, რომ ინდოჩინეთის ხალხთა გმირული ბრძოლა ამერიკელი ინტერვენტებისა და მათი დამქაშების წინააღმდეგ ემსახურება მთელი პროგრესული კაცობრიობის საერთო საქმეს, ამ ბრძოლაში ისინი ხდებიან იმ გიგანტური ბრძოლის ნაწილს, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარეობს ერთი მხრივ მშვიდობისა და პროგრესის ძალებს შორის, და მეორე მხრივ რეაქციისა და ომის ძალებს შორის. ამიტომ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა და პროგრესი, ინდოჩინეთის ხალხთა სამართლიანი საქმე თავის ღვიძლ საქმედ მიაჩნია.

დიდ პატივისცემასა და აღტაცებას იწვევს მსოფლიოს ხალხებში სამხრეთ ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის პატრიოტთა საბრძოლო გმირობა. ინდოჩინეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წამყვანი ძალა, გადამწყვეტი ფაქტორი, რომელიც ადუღებებს მებრძოლ ხალხებს, არის ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. თვით სიტყვა „ვიეტნამი" გახდა არა მარტო მისი ხალხის მამაცობისა და ვაჟკაცობის, თავდადებისა და გმირობის სინონიმი, არამედ გაისმის როგორც მოწოდება შეკავშირდნენ მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები, რადგან ინდოჩინეთის ხალხთა ბრძოლის მტკიცე და უთუო მხარდაჭერა თანამედროვეობის მთელი მოწინავე, რევოლუციური ძალების ინტერნაციონალური მოვალეობაა.

მსოფლიოს ასამხლეა ინდოჩინეთის ხალხთა მშვიდობისა და დამოუკიდებლობისათვის იკრიბება იმ მომენტში, როცა ვაშინგტონი საზოგადოებრიობის მოსატყუებლად ცდილობს ისე წარმოადგინოს საქმე, თითქოს „ახალგაზდა ომს" ინდოჩინეთში, მომავალი ფორუმის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ბოლომდე ამჟღავნოს ამ მტაცებლობათა სიყალბე.

25 იანვარს ვაშინგტონმა გამოაცხადა ეგრეთწოდებული „რვა პუნქტისაგან შემდგარი ბაღალი გეგმა", რომელიც თითქოს ითვალისწინებს სამხრეთ ვიეტნამის მდგომარეობის მშვიდობიანი მოწესრიგების სისტემას. მსოფლიო საზოგადოებრიობა უკვე საკმაოდ კარგად ერკვევა ამ ამერიკული ეგზეის არსში, რომელიც სინამდვილეში ომის განგრძობის გეგმაა.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გადაჭრით განაცხადა, რომ იგი არ იღებს ამ ყალბ გეგმას და მტკიცედ მხარს უჭერს შვიდი პუნქტისაგან შემდგარ წინადადებას, რომელიც სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ წამოაყენა ჯერ კიდევ გასული წლის 1 ივლისს. ამ დღეებში სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ კვლავ განმარტა ეს წინადადება და კიდევ ერთხელ დაასახა მთელ მსოფლიოს ვიეტნამის მხარის კეთილი ნება და მოქნილი პოზიცია.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, ნათქვამია ამ განმარტებებში, ბოლო უნდა მოუღოს საჰაერო ომს და ყველა საომარ მოქმედებას ვიეტნამში, განსაზღვროს თავისი ჯარებისა და სამხედრო ტექნიკის მთლიანად გაყვანის ზუსტი თარიღი, მოახდინოს სამხრეთ ვიეტნამში ყველა სამხედრო ბაზის დემონტაჟირება. რაც შეეხება სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ კვლავ განმარტა, ან მოლაპარაკების მაგიდასთან ვიეტნამელი ხალხი დათანხმდებოდა ამერიკის დიქტატს. ამერიკის წინადადებანი არსებითად არომეელი ინდოჩინეთის ხალხებს კანონიერ უფლებას თვითონ გადაწყვიტონ თავიანთი ბედი, უამისოდ კი ინდოჩინეთში მშვიდობის მიღწევა შეუძლებელია.

საბჭოთა საზოგადოებრიობა ინდოჩინეთის მებრძოლ ხალხებთან სოლიდარობის მსოფლიო ფრონტის პირველ რიგებშია. საბჭოთა კავშირი ყოველნაირ დახმარებასა და მხარდაჭერას უწევს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას სოციალიზმის მშენებლობაში, მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში, იმპერიალისტური ხელყოფის მოგერიებაში. ჩვენი ქვეყანა თანამიმდევრულად და მტკიცედ უჭერს მხარს სამხრეთ ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის განმათავისუფლებელ მოძრაობებს. სკკპ XXIV ყრილობამ ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირი განუხრელად დაიცავს ამ კურსს.

საბჭოთა ადამიანები მხურვალედ მეესალმებიან მსოფლიო ასამბლეას ინდოჩინეთის ხალხების მშვიდობისა და დამოუკიდებლობისათვის და მთელ მშვიდობიანმოყვარე კაცობრიობასთან ერთად მხად არიან ხელი შეუწყონ ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლთა მსოფლიო ფრონტის შემდგომ გაფართოებასა და აქტივიზაციას, მზად არიან განაგრძონ ეს ბრძოლა, სანამ უკანასკნელი ამერიკელი ჯარისკაცი არ დაბრუნებს ინდოჩინეთის მიწა-წყალს.

მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობის აღფოთოვანებ და გულისწყრომა გამოიწვია ოლსტერში დატრიალებულმა ტრაგედიამ, როდესაც ინგლისელმა ჯარისკაცებმა მშვიდობიანი დემონსტრაცია დახვრიტეს. ლონდონდერი „გლოვის დღეა" გამოაცხადეს — სამი დღით შეწყვიტეს მუშაობა საწარმოებმა და დაწესებულებებმა, დაიხურა მაღაზიები და სკოლები. ლონდონდერის ათასობით მცხოვრები გამოვიდა ქუჩაში, რათა უკანასკნელად გაეცილებინა ინ-ლონიზატორთა ტყვიების მსხვერპლნი.

სურათზე: სამგლოვიარო პროცესია.

საკდესის ტელეფოტო

ხოლ იუროკი

„მზად ვარ თუნდაც დღეს გამოვფრინდე ვლადივოსტოკში"

როგორც ცნობილია, ამ დღეებში ნიუ-იორკში თავს დაესხნენ ორ კომპანიის, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა მსახიობების გასტროლებს აწყობენ, — სოლ იუროკის კანტორის და „კოლამბია არტისტსს". ცეცხლგამჩენი ბომბების აფეთქების შედეგად დაიღუპა ს. იუროკის კანტორის 27 წლის თანამშრომელი ქალი, 10 კაცი დაიჭრა, თვითონ იუროკი მამამიანი გაზით მოიწამლა.

ამ მომენტში, როცა აფეთქება მოხდა, „ასოშეიეტედ პრესის" დეპეშათა სააგენტოში ზარი გაისმა, და კაცმა, რომელსაც თავისი ვინაობა არ დაუსახელებია, შეატყობინა აფეთქება მოხდაო, თანაც აცნობა, თავდასხმის მიზანი ის არის, რომ არ დაუშვან კულტურული კონტაქტები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის, საბჭოთა ხელოვნების წარმომადგენლები ამერიკაში არ შეუშვეხო. ბოლოს ამ კაცმა „ებრაელთა დაცვის ლიგის" ლოზუნგი წამოიძახა.

სიონისტების ბანდიტური თავდასხმის მეორე დღეს თქვენი კორესპონდენტი ესაუბრა 83 წლის სოლომონ იუროკს.

— როგორ გრძნობთ თავს ბ-ნო იუროკ?

— გმადლობთ, ახლა უკეთ ვარ, გაცლებით უკეთ.

— ექანგადის ხელსაწყო უკვე წაიღეს?

— არა, ისევ დგას, მაგრამ აღარ ვიყენებ. დიან, შეიძლება ითქვას, რომ სიკვდილი გავბარე.

— ეს ამის ნიშანია, რომ თქვენ ახლა 150 წლამდე უნდა იცოცხლოთ.

— სიამოვნებით ვიზამდი ამას და სიამოვნებით განვაგრძობდი საბჭოთა კავშირთან კულტურულ თანამშრომლობას. დიდი ხანია მემუქრებოდნენ ყველა ისინი, ვინც ჩვენს ქვეყნებს შორის კულტურული გაცვლის წინააღმდეგია, — „ებრაელთა დაცვის ლიგაც", სხვა რეაქციული ორგანიზაციებიც. ზოგჯერ მუქარა ერთხანს მიწყნარდებოდა, შემდეგ კი კვლავ განახლდებოდა ხოლმე, მაგრამ ის, რაც მათ ახლა ჩაიდინეს, ნამდვილი საზიზღარი მკვლელობაა, სრულიად უდანაშაულო ადამიანის მოკვლა. მე იმედი მაქვს, რომ მკვლელებს მიაგნებენ და დასჯიან. ყოველ შემთხვევაში, ეს აღმოთქვეს ქალაქის ხელისუფლებამაც, შტატის ხელისუფლებამაც და სახელმწიფო დეპარტამენტმაც. ახლა გფიქრობ გამოძიების ფედერალური ბიურო შეუდგება მუშაობას. მეტისმეტი გახდა. ასობით ადამიანი, ნაცნობი და უცნობი, მირეკავს, დეპეშებს, ყვავილებს მიგზავნის. ყველანი სწყევლიან იმათ, ვინც ეს ბანდიტური თავდასხმა მოახდინა.

— რამდენადაც მესმის, თქვენ უფოყმანოდ აპირებთ განაგრძოთ თქვენი მუშაობა?

— უეჭველად, ბედნიერი ვარ, რომ კულტურული გაცვლა, რომელიც ჩვენს შორის არსებობს, არ შეწყვეტილა. მიუხედავად რეაქციული ორგანიზაციების მხრივ ბანდიტიზმისა, ჩვენ გავიმარჯვეთ. მიუხედავად მთელი შეეცარისა და დაბრკოლებისა, ახლა ამერიკელმა საზოგადოებამ იცის, თუ რა არის დიდი საბჭოთა ხალხის ხელოვნება. ბანდიტებმა ვერ შეძლეს შეგვეჩერებინეთ. მე მზად ვარ განვაგრძო საქმე, სანამ ძალონე მაქვს და სანამ საბჭოთა კავშირში უნდათ იმუშაონ ჩემთან. თუ საჭირო, მე მზად ვარ თუნდაც დღეს გამოვფრინდე მოსკოვში და შეგითანხმოთ ახალ გასტროლებზე.

— გისურვებთ მალე გამოჯანმრთელებას, ბ-ნო იუროკ, და წარმატებებს თქვენს სასარგებლო და კეთილშობილურ მოღვაწეობაში.

— გმადლობთ.

ბ. ბოროვიკი.

ნიუ-იორკი.

ამჯერჯი

● **გერმანიის ერთიანი** სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ჰონეკერი შეხვდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მოადგილეს ჟ. მარშეს, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმყოფება.

● **საფრანგეთის კომპარტია** საფრანგეთის მუშათა კლასსა და ხალხს, მოუწოდებს აქტიური წვლილი შეიტანონ ინდოჩინეთის ხალხთა მშვიდობისა და დამოუკიდებლობისათვის მსოფლიო ასამბლეის ერთობლივ მომზადებაში, რომელიც 11-13 თებერვალს გაიმართება ვერსალში.

● **კალიფორნიელმა რასისტებმა** კვლავ სცადეს სან-ხოსეს დილეგებში გამომწყვდეული ანჯელა დევისის იზოლირება გარე სამყაროსგან და მისთვის ხმის უფლების წართმევა. საოლქო მოსამართლემ ჯ. სკოტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად, ანჯელა დევისს ეკრძალება ჟურნალისტებთან შეხვედრა და ინტერვიუს მიცემა.

● **მასსაჩუსეტსის შტატის** საკანონმდებლო კრების წარმომადგენელთა პალატის წევრებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც მოითხოვეს ინგლისის შთელი ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა ოლსტერიდან და ქვეყნის სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ რეპრესიების შეწყვეტა.

● **ამერიკის პრეზიდენტმა** ნიქსონმა ხელი მოაწერა კანონპროექტს მიმდინარე საფინანსო წელს უცხოეთის სახელმწიფოებისათვის დახმარების შესახებ. ასიგნებული სახსრების ნახევარზე მეტი — 1,5 მილიარდი დოლარი — გათვალისწინებულია ამერიკის შეერთებული შტატების ერთგული რეჟიმების უშუალო სამხედრო დახმარებისათვის.

● **სწრაფი ტემპით ზიმდინარეობს** შეერთებულ შტატებში წვრილ ფერმერთა გაკოტრების პროცესი. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მარტო ნიუ-იორკის შტატში ფერმების რიცხვი 32 პროცენტით შემცირდა.

● **პარიზის ბირჟამ აღრიცხა** დოლარის შემდგომი გაუფასურება. მისი კურსი დაეცა ოფიციალურ პარიტეტთან შედარებით, რომელიც 5,1157 ფრანგულ ფრანკს შეადგენს. გადასაცვლელ ბაზარზე ამერიკული დოლარი ფასობდა 5,0910-5,0950 ფრანგულ ფრანკად. დოლარის კურსის დაცემა ფიქსირებულია ლონდონის ბირჟაზე.

● **ოლსტერის პოლიციამ** ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქ ნიურში სასამართლო საქმე აღძრა მოქალაქეობრივ უფლებათათვის მოძრაობის მასობრივი დემონსტრაციის 26 ორგანიზატორის წინააღმდეგ.

● **ჩრდილოეთ ირლანდიაში** სამოქალაქო უფლებებისათვის გაუსამართლებლად და გამოუძიებლად დაპატიმრებულ მებრძოლთა რიცხვი უკვე 1.700-ს აღემატება.

ფაქტები

სასარგებლო სესია

ნიუ-იორკი, 8 თებერვალი. (საკდესი). ადის-აბებაში გამართული უშიშროების საბჭოს სხდომები იყო დიდმნიშვნელოვანი და სასარგებლო. ამ სხდომებმა შესაძლებელი გახადეს თითქმის გადაეჭრათ აფრიკის რთული პრობლემები და. დიდი ინტერესი გამოიწვია აფრიკის კონტინენტზე, განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე.

ვალდჰაიმის აზრით, ადის-აბებაში გამართული უშიშროების საბჭოს მუშაობის მთავარი შედეგია რეზოლუციის მიღება ნამიბიის გამო, რომელიც დიდხანს განიცდიდა სამხრეთ აფრიკის ხელისუფალთა ოკუპაციას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ინგლისმა ვეტო დაადო რეზოლუციას როდეზიის შესახებ, და ამით შეფერხა უშიშროების საბჭოს ღონისძიებანი.

მან აღნიშნა, რომ უშიშროების საბჭომ ადის-აბებაში მიიღო დიდმნიშვნელოვანი რეზოლუციები აპარტეიდის შესახებ და „პორტუგალიის კოლონიური ბატონობის ქვეშ მყოფი ტერიტორიის მიმართ.

ეს დოკუმენტი მოუწოდებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების ინტერესები, კიდევ უფრო აქტიურად გაუწიონ სოლიდარობა ინდოჩინეთის ხალხებს. ამ მოწოდებას ფართოდ გამოეხმაურნენ ყველა კონტინენტზე. მშვიდობისმოყვარე ძალებს ესმით, რომ ინდოჩინეთის ხალხთა გმირული ბრძოლა ამერიკელი ინტერვენტებისა და მათი დამქაშების წინააღმდეგ ემსახურება მთელი პროგრესული კაცობრიობის საერთო საქმეს, ამ ბრძოლაში ისინი ხდებიან იმ გიგანტური ბრძოლის ნაწილს, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარეობს ერთი მხრივ მშვიდობისა და პროგრესის ძალებს შორის, და მეორე მხრივ რეაქციისა და ომის ძალებს შორის. ამიტომ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა და პროგრესი, ინდოჩინეთის ხალხთა სამართლიანი საქმე თავის ღვიძლ საქმედ მიაჩნია.

დიდ პატივისცემასა და აღტაცებას იწვევს მსოფლიოს ხალხებში სამხრეთ ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის პატრიოტთა საბრძოლო გმირობა. ინდოჩინეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წამყვანი ძალა, გადამწყვეტი ფაქტორი, რომელიც ადუღებებს მებრძოლ ხალხებს, არის ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. თვით სიტყვა „ვიეტნამი" გახდა არა მარტო მისი ხალხის მამაცობისა და ვაჟკაცობის, თავდადებისა და გმირობის სინონიმი, არამედ გაისმის როგორც მოწოდება შეკავშირდნენ მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები, რადგან ინდოჩინეთის ხალხთა ბრძოლის მტკიცე და უთუო მხარდაჭერა თანამედროვეობის მთელი მოწინავე, რევოლუციური ძალების ინტერნაციონალური მოვალეობაა.

მსოფლიოს ასამხლეა ინდოჩინეთის ხალხთა მშვიდობისა და დამოუკიდებლობისათვის იკრიბება იმ მომენტში, როცა ვაშინგტონი საზოგადოებრიობის მოსატყუებლად ცდილობს ისე წარმოადგინოს საქმე, თითქოს „ახალგაზდა ომს" ინდოჩინეთში, მომავალი ფორუმის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ბოლომდე ამჟღავნოს ამ მტაცებლობათა სიყალბე.

25 იანვარს ვაშინგტონმა გამოაცხადა ეგრეთწოდებული „რვა პუნქტისაგან შემდგარი ბაღალი გეგმა", რომელიც თითქოს ითვალისწინებს სამხრეთ ვიეტნამის მდგომარეობის მშვიდობიანი მოწესრიგების სისტემას. მსოფლიო საზოგადოებრიობა უკვე საკმაოდ კარგად ერკვევა ამ ამერიკული ეგზეის არსში, რომელიც სინამდვილეში ომის განგრძობის გეგმაა.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გადაჭრით განაცხადა, რომ იგი არ იღებს ამ ყალბ გეგმას და მტკიცედ მხარს უჭერს შვიდი პუნქტისაგან შემდგარ წინადადებას, რომელიც სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ წამოაყენა ჯერ კიდევ გასული წლის 1 ივლისს. ამ დღეებში სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ კვლავ განმარტა ეს წინადადება და კიდევ ერთხელ დაასახა მთელ მსოფლიოს ვიეტნამის მხარის კეთილი ნება და მოქნილი პოზიცია.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, ნათქვამია ამ განმარტებებში, ბოლო უნდა მოუღოს საჰაერო ომს და ყველა საომარ მოქმედებას ვიეტნამში, განსაზღვროს თავისი ჯარებისა და სამხედრო ტექ-

მაგრამ ვაშინგტონის პოზიცია ძირეულად განსხვავდება ვიეტნამელი ხალხის ამ ზუსტი და თანმიმდევრული პოზიციისაგან. ვაშინგტონი ჯარების გაყვანას დათანხმდებოდა მხოლოდ მაშინ, როცა საიგონის მარიონეტული არმია გახდებოდა საკმაოდ ძლიერი, რათა შეეცვალა ამერიკელები, ან მოლაპარაკების მაგიდასთან ვიეტნამელი ხალხი დათანხმდებოდა ამერიკის დიქტატს. ამერიკის წინადადებანი არსებითად არომეელი ინდოჩინეთის ხალხებს კანონიერ უფლებას თვითონ გადაწყვიტონ თავიანთი ბედი, უამისოდ კი ინდოჩინეთში მშვიდობის მიღწევა შეუძლებელია.

საბჭოთა საზოგადოებრიობა ინდოჩინეთის მებრძოლ ხალხებთან სოლიდარობის მსოფლიო ფრონტის პირველ რიგებშია. საბჭოთა კავშირი ყოველნაირ დახმარებასა და მხარდაჭერას უწევს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას სოციალიზმის მშენებლობაში, მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში, იმპერიალისტური ხელყოფის მოგერიებაში. ჩვენი ქვეყანა თანამიმდევრულად და მტკიცედ უჭერს მხარს სამხრეთ ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის განმათავისუფლებელ მოძრაობებს. სკკპ XXIV ყრილობამ ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირი განუხრელად დაიცავს ამ კურსს.

საბჭოთა ადამიანები მხურვალედ მეესალმებიან მსოფლიო ასამბლეას ინდოჩინეთის ხალხების მშვიდობისა და დამოუკიდებლობისათვის და მთელ მშვიდობიანმოყვარე კაცობრიობასთან ერთად მზად არიან ხელი შეუწყონ ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლთა მსოფლიო ფრონტის შემდგომ გაფართოებასა და აქტივიზაციას, მზად არიან განაგრძონ ეს ბრძოლა, სანამ უკანასკნელი ამერიკელი ჯარისკაცი არ დაბრუნებს ინდოჩინეთის მიწა-წყალს.

მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობის აღფოთოვანებ და გულისწყრომა გამოიწვია ოლსტერში დატრიალებულმა ტრაგედიამ, როდესაც ინგლისელმა ჯარისკაცებმა მშვიდობიანი დემონსტრაცია დახვრიტეს. ლონდონდერი „გლოვის დღეა" გამოაცხადეს — სამი დღით შეწყვიტეს მუშაობა საწარმოებმა და დაწესებულებებმა, დაიხურა მაღაზიები და სკოლები. ლონდონდერის ათასობით მცხოვრები გამოვიდა ქუჩაში, რათა უკანასკნელად გაეცილებინა ინ-ლონიზატორთა ტყვიების მსხვერპლნი.

სურათზე: სამგლოვიარო პროცესია.

საკდესის ტელეფოტო

ნიუ-იორკი

მკვლელის ტყვიით

8 თებერვალი. (საკდესი). მიამში მოკლეს ეროზეფ კალები, ფლორიდის შტატის ცნობილი პროფკავშირული მოღვაწე.

იგი იყო მშრომელთა ინტერესების თანამიმდევრული დამცველი, ბანგთა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მოძრაობის მონაწილე.

ეს უკვე მეორე პოლიტიკური მკვლელობაა 1972 წელს. იანვრის დამდეგს დაქირავებულმა მკვლელებმა იმავე შტატში მოაწყეს მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ლუის ლასკი. მაგრამ ხელისუფალნი არ ჩქარობენ დანაშაულთა გამოძიებას, რომლებსაც როგორც წესი, „იდუმალებით მოცული ვითარებაში" სჩადიან.

საშიში გარიგება

ვაშინგტონი, 8 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ შეერთებული შტატები შეუთანხმდნენ სახერძნეთის მთავრობას სახერძნეთის პირეოსის ნავსადგურში ამერიკის მეექვსე ფლოტის მუდმივი ბაზის შექმნის შესახებ.

ეს შეთანხმება, თქვა მან, რომელიც „პრინციპულად" რამდენიმე თვის წინათ დაიდო, ითვალისწინებს ბაზის ტერტორიაზე ამერიკის ხომალდების ეკიპაჟებისა და ამერიკის სამხედრო მეზღვაურთა ოჯახების 3,500 წევრის დაბინავებას.

გაზეთ „კრისჩენ საიენს მონიტორის" ათენელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახალ მუდმივ ბაზაში ამენდება საწყობები, გასაწყობი პუნქტები და მეექვსე ფლოტის სამხედრო ხომალდების მომსახურების სხვა ობიექტები. სამხედრო-საზღვაო ბაზის სანაცვლოდ ამერიკის ხელისუფალნი აპირდებიან საბერძნეთს „ფანტომის" ავიაგამანადგურებელი ბომბდამშენების მიწოდებას.

პარიზი, 8 თებერვალი. (საკდესი) საბერძნეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს ამერიკის შეერთებულ შტატებთან დადებული შეთანხმება მიაჩნია საბერძნეთის რეჟიმის მხრივ ეროვნული ღალატის ახალ აქტად.

საქმე ეხება, ნათქვამია რადიოსადგურ „სიმართლის ხმის" მიერ გავრცელებულ განცხადებაში, საბერძნეთის ყველაზე დიდი ნავსადგურების გამოყენებას ამერიკის მეექვსე ფლოტის ხომალდების მუდმივ ბაზად, აგრეთვე ამ ნავსადგურების რაიონებში ამერიკის სამხედრო ხომალდების ეკიპაჟებისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების წევრთა მუდმივ ადგილსამყოფელად.

დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ საბერძნეთი, რომელიც მჭიდროდაა გარშემორტყმული ამერიკის და ნატოს სამხედრო ბაზებით, ამერიკის შეერთებულ შტატებთან შეთანხმების შედეგად გადაიქცევა პლაცდარმად აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისა და ახლო აღმოსავლეთის რაიონში ამერიკის შეერთებული შტატების ავანტიურისტული მოქმედებისათვის, რომელიც მიმართულია სოციალისტური ქვეყნების, დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფოებისა და კვიპროსის წინააღმდეგ.

ქაბული

სუსპარტოს ეოიაქი

8 თებერვალი. (საკდესი). ინდონეზიის პრეზიდენტი სუსპარტო გაემგზავრა საზღვარგარეთის მეთერ რიგ ქვეყნებში.

პირველად იგი ეწვია ავსტრალიას, რომელიც წყნარი ოკეანის უშიშროების პაქტის წევრია. ინდონეზიის სახელმწიფოს მეთაური შეხვდა და მოლაპარაკება გამართა ავსტრალიის პრემიერ-მინისტრ უილიამ მაკმაგონთან.

ეხება რა მოლაპარაკების შედეგებს, ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი გაზეთი „ოსტრელიანი" დღეს აღნიშნავს, რომ, თუმცა მხარეებს არ დაუდვიათ ფორმალური სამხედრო პაქტი, თანამშრომლობა „ერთობლივი თავდაცვის" საკითხებში მნიშვნელოვნად გაძლიერდება.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამ დღეებში ინდონეზიას ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების „ბრმის" შტაბის უფროსი გენერალი ოუსტმორლენდი.

ქაბული

თანამშრომლობის ნიშნები

8 თებერვალი. (საკდესი). კუბის ქალაქ მანსანილოოს გემთსაშენში წყალში ჩაუშვეს რკინაბეტონის „ეორტუსიანი მორიგი თევზსაჭერი გემი.

გემთსაშენი საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან კუბის ფართო თანამშრომლობის ნიმუშია. გემები აღჭურვილია საბჭოთა სანავიგაციო ხელსაწყოებით.

ტოკიო

იაფი, მოხერხებული

8 თებერვალი. (საკდესი). საბორნო მიმოსვლა სულ უფრო პოპულარული ხდება იაპონიაში.

მარტო ტოკიოში ამჟამად მოქმედებს 10 კომპანია, რომლებიც მომსახურებას უწევენ 12 ხაზს. გათვალისწინებულია სამი წლის განმავლობაში ტოკიოს ნავსადგურში დაამთავრონ ექვსი ახალი ნავმისადგომის მშენებლობა, რომლებიც სპეციალურად განკუთვნილია ბორნების მისაღებად.

დიდი მასშტაბით მიმდინარეობს აგრეთვე სპეციალური გემების მშენებლობა. უახლესი ბორნების ფყალუყვა 10 ათას ტონას აღწევს. მათ შეუძლიათ გადაზიდონ 100-მდე სატვირთო მანქანა, 200 მსუბუქი მანქანა და გადაიყვანონ 1.200 მგზავრი ერთროულად.

დიდი სიჩქარე (24-მდე კვანძი) საშუალებას აძლევს მათ კონკურენცია გაუწიონ ტრანსპორტის სახმელეთო სახეობებს.

ლონდონი

დიქტატის პოლიტიკა

8 თებერვალი. (საკდესი). მალტის მთავრობა უარს ამბობს დაემორჩილოს ინგლისის ზეწოლას, რომელიც ნატოს სხვა ქვეყნების მხარდაჭერით ცდილობს შეინარჩუნოს სამხედრო ბაზები კუნძულზე.

როგორც ლონდონის პრესა იუწყება მალტის პრემიერ-მინისტრის დ. მინტოფისა და ინგლისის თავდაცვის მინისტრის ლორდ კარინგტონის რომში მიმდინარე მოლაპარაკების ახალი ტურის პირველი დღე უშედეგოდ დამთავრდა.

„მოლაპარაკების დროს არ არის მიღწეული არავითარი პროგრესი", — განაცხადა შეხვედრის შემდეგ ლორდმა კარინგტონმა.

ინგლისი კვლავინდებურად უარს ამბობს დაკმაყოფილოს მალტის მოთხოვნა იმ ზარალისათვის კომპენსაციის გადახდის შესახებ, რომელიც ქვეყნის ეკონომიკას მიაყენეს ინგლისის ჯარებმა ხანგრძლივი ყოფნით.

გარდა ამისა, ინგლისი ცდილობს უზრუნველყოს ის, რომ მალტაზე საბჭოური ბაზები გამოიყენოს თავისი ნატოელი მოკავშირეებისათვის, და უწინარეს ყოვლისა, შეერთებული შტატებისათვის, და ამით შეზღუდოს კუნძულის სუვერენიტეტი.

მდგომარეობა ჩინეთში და პეკინის ხელმძღვანელობის მანევრები

პეკინის ზედაფენაში ამასწინანდელი ცვლილებები, რომელმაც ცხადყო მაოისტთა ხელმძღვანელობის სისუსტე, მისი მერყეობა, ქვეყნის დაძაბული მდგომარეობა, ჩინეთის პრესას სურს გაასაღოს „მაო ძე-დუნის ხაზის ბოროგ გამარჯვებად". განსაკუთრებულ ყურადღებას ამ დროს მიაპყრობენ იმას, რომ საჭიროა კიდევ უფრო დაინერგოს პარტიაში მაოიზმის იდეები.

შინაბრძოლის შედეგად ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ის პოლიტბიუროს 21 წევრიდან, რომელიც სულ სამოოდე წლის წინათ შეიქმნა ჩინეთის კომპარტიის IX ყრილობაზე, ამჟამად პოლიტიკურ ასპარეზზე შემორჩა მხოლოდ შვიდი-რვა კაცი. საზღვარგარეთის პრესა, იმოწმებს რა პეკინის წყაროებს, ამას წინათ წერდა, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სულ ცოტა ექვს წევრს ბრალად დასდეს შეთქმულების მომზადება. პოლიტბიუროს მუდმივ კომიტეტში, რომელშიც 1966 წელს თერთმეტი წევრი იყო, ხოლო ჩინეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობის შემდეგ ხუთი წევრი, ახლა ფაქტიურად შემორჩა მხოლოდ ორი კაცი. მაო ძე-დუნი და ჯოუ ენ-ლაი.

როგორც პრესის ცნობები მოწმობენ, მაო ძე-დუნ

ეს გააკეთა გაზეთმა

როგორ იპოვნა ქმაპ და...

ზუგდიდი. (საკ. კორ.). საქალაქო და რაიონულ გაზეთ „მებრძოლის“ მიმდინარე წლის 18 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა ქ. ვინიცაში მცხოვრებ ალექსანდრე ბრუშნოვის წერილი სათაურით „ვეძებ დას“. ა. ბრუშნოვი წერდა, რომ მან 22 წლის წინათ დაკარგა და, დიდი სამამულო ომის წლებში დედა და და-ძმა ზუგდიდის რაიონში მოხვედრილან. დედა გარდაცვლილა, ხოლო და გათხოვილა, 7 წლის ალექსანდრე კი სიბავშვო სახლში მოუყვანიათ, ბედმა და-ძმას ერთმანეთის ასავალ-დასავალი დაუკარგვინა. ალექსანდრე ბრუშნოვი ბავშვობა სახლიდან სხვაგან გადაუყვანიათ. ბრუშნოვს დიდხანს აწუხებდა დის ბედი, მაგრამ ქვალისათვის ვერ მიუგნია.

ალექსანდრე ბრუშნოვი ვინიციდან ზუგდიდში ჩამოვიდა. მან „მებრძოლის“ რედაქციის მუშაკთა დახმარებით გაზეთის ფურცელზე მოათავსა ის წერილი, რომლის შესახებაც ზემოთ აღვნიშნეთ.

მეორე დღესვე რედაქციაში აწკრიალდა ყურმილი. ბრუშნოვებიან ზუგდიდელმა მახპინძელმა ოროდი ჩიქობავამ რედაქციას აცნობა, რომ ალექსანდრე ბრუშნოვის და მარია 1962 წელს გათხოვდა ხობის „რაიონის სოფელ ხამისკურში უ. კუკავაზე და რომ ჰყავთ ორი შვილი მანანა და მაშუკა.

მალე რედაქციაში მოვიდნენ მარია ბრუშნოვა-კუკავა, უ. კუკავა, ძველი მასპინძელი ი. ჩიქობავა და ალექსანდრე ბრუშნოვი. ძნელია ამ ამბალღვებელი შეხვედრის აღწერა. თვალცრემლიანი და-ძმა კოცნიდნენ ერთმანეთს, ზუგდიდელ მასპინძელს ი. ჩიქობავას, ეხვეოდნენ და მადლობას უხდიდნენ რედაქციის მუშაკებს, რომელთა დახმარებითაც და-ძმამ ერთმანეთი იპოვნა 22 წლის შემდეგ.

გაზეთი „მებრძოლი“ თავის ფურცლებზე ფართო ადგილს უთმობს სამამულო ომის თემას, რაშიაც მას დიდ დახმარებას უწევს რედაქციასთან შექმნილი საბრძოლო დიდების კლუბი (ხელმძღვანელი საბჭოთა კავშირის გმირი შ. ჩილაჩავა).

გმირი მფრინავი ეკრანზე

დუშეთი. (საკ. კორ.). ცნობილი მფრინავ-მოიერშის, საბჭოთა კავშირის გმირის ზაქარია ხიტალიშვილის მმობლიურ სოფელ არანისში ჩამოვიდნენ უკრაინელი კინოდოკუმენტალისტები — რეჟისორი ა. კრივარჩუკი, ოპერატორი ა. ლოსოვოი და ოპერატორის ასისტენტი ვ. გეიკო, რომლებიც აწარმოებენ დოკუმენტური კინოსურათის პოლტავიჩინის „საპატიო შვილის“ გადაღებებს.

ფილმის მთავარი გმირია სამამულო ომის გამოჩენილი მებრძოლი ზ. ხიტალიშვილი, რომელიც დაახლოებით ოცდაათი წლის წინათ უთანასწორო ბრძოლაში ფაშისტებმა ჩამოგდეს პოლტავის ოლქის ოკუპირებულ ტერიტორიაზე. მამაცმა მფრინავმა შეძლო თავი დაეღწია ალმოდებული მანქანისათვის. სოფელ პერვაია მიხაილოვკას მშრომელებმა ღვიძლი შვილივით შეიფარეს დაჭრილი მეომარი, კოლმეურნე ს. მალცევმა და მისმა მეუღლემ ელენემ, აგრეთვე მათმა მეზობელმა ე. შლიაპკინამ თავიანთი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდეს, მფრინავს ჭრილობები მოუშუშეს და ფრონტის ხაზზე გასვლაში დაეხმარნენ.

მას შემდეგ ქართველი გმირი ზ. ხიტალიშვილი ყოველწლიურად ჩადის თავის უკრაინელ მეგობრებთან. საქართველოში ხშირად ჩამოდიან უკრაინელებიც. ახლახან სოფელ პერვაია მიხაილოვკას სასოფლო საბჭოს გადაწყვეტილებით ზ. ხიტალიშვილს პოლტავჩინის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

ახალი კინოფილმი, რომლის გადაღება მიმდინარეობდა პოლტავის ოლქში, თბილისსა და გმირის სამშობლო სოფელ არანისში, მოგვითხრობს ორი მოძმე ხალხის — ქართველი და უკრაინელი ხალხების დიად მეგობრობაზე.

ა. თომაძე.

თეთრი ოლიმპიადის დღეები საპოროში

ოქროს დუეტი

SAPPORO'72

საპოროში ზამთრის XI ოლიმპიადაზე მეორე ოქროს მედალი მოიპოვა. 17 წლის შვეიცარიელმა სამთო მოთხილამურემ მარი-ტერეზ ნადიგამ. იგი უძლიერესი იყო გიგანტურ სლალომში ქალთა შორის. მარი-ტერეზ ნადიგამა 1.240 მეტრი 51 კარით გაირბინა 1 წუთსა და 29,90 წამში. მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს ავსტრიელებმა ანემარი პრელმა და ვილტრუდ დრეკსელმა.

საბჭოთა სამთომოთხილამურეებმა გიგანტურ სლალომში შემდეგი ადგილები დაიკავეს: 31. სვეტლანა ისაკოვამ — 1 წუთი და 40,20 წამი; 33. ნინო მერკულოვამ — 1 წუთი და 41,18 წამი; 34. გალინა ზიხოვამ — 1 წუთი და 43,74 წამი.

ბიატლონისტთა ასპარეზობა, რომელიც თეთრი ოლიმპიადის პროგრამით არის გათვალისწინებული გუშინ ძლიერი თოვის გამო გადაიტანეს. იგი გაიმართება დღეს.

ცოგებით ასპარეზობაში საპორო გააოცეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. როგორც ვიუწყებოდით, ამ სახეობაში ქალებმა მედლების მოელი კომპლექტი დაისაკუთრეს, მომდევნო დღეს კი ვაუებმა სამივე საპრიზო ადგილი მოიპოვეს. ჩემპიონი გახდა ვოლფგანგ შეიდელი, ვერცხლის მედალი დაიმსახურა პარალდ ერიგმა, ბრინჯაოს მედალი ხვდა ვოლფრამ ფიდლერს.

მხოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს ჩეხოსლოვაკიელ ბეატრის შუბას საპოროშიც ბრალი არა ჰყავდა, სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამებით გამოსვლის ჯამში მან მოაგროვა 2.751,5 ქულა (ადგილების ჯამი — 9) და ოქროს მედალი მოიპოვა. თანმიმდევრულად ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ ქარენ მაგნუსენი (კანადა) და ჯანეტ ლინი (ამერიკის შეერთებული შტატები).

ყურადღების ცენტრშია უძლიერესთა ექვსეულის ტურნირი ჰოკეიში. გუშინ შედგა ერთი მატჩი. ევროპის ჩემპიონებს ჩეხოსლოვაკიელ ჰოკეისტებს პაექრობა ჰქონდათ ფინეთის გუნდთან და გაიმარჯვეს 7:1. დაუმარცხებლად მხოლოდ ორი ნაკრები იბრძვის. ესენი არიან სსრ კავშირისა და შვეიცის გუნდები, რომლებსაც დაკარგული აქვთ თითო ქულა. მორიგი მატჩი საბჭოთა ჰოკეისტებს ექნებათ ამერიკის ნაკრებთან.

თეთრი ოლიმპიადის მეექვსე დღის დამამშვენებელი მოვლენა იყო ფიგურისტთა მეჭლისი მაკომანიის სპორტის სასახლეში. ამ შესანიშნავი წარმოდგენის მშვენება კი იყვნენ საბჭოთა წყვილები და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დუეტი.

„ბრავო“ — გაიძახოდნენ ტრიბუნები, როცა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები მოსკოველები ირინე როდნინა და ალექსანდრ ულანოვი მოედნის შუაგულში გამოვიდნენ და მათი თაყვანისმცემელთათვის ესოდენ ნაცნობ პოზაში დადგნენ. მათ გააამართლეს მოლოდინი, ცხადყვეს, რომ მოლიპულ ყინულზეც შესაძლებელია გაიკეთონ ყოველივე, რაც ჩაიფიქრეს თავიანთ მწვრთნელ სტანისლავ ჟუკთან ერთად. ოლიმპიური ჩემპიონები ოქროს მედლებით დაჯილდოვეს რამდენიმე წუთის შემდეგ (მომავალი გამარჯვებულნი უკანასკნელისწინა წყვილში გამოდიოდნენ). აი, მათი შედეგი — 420.4 ქულა (ადგილების ჯამი — 12).

მხოლოდ ერთი ქულა (და სულ სამი ადგილი) წაიგეს მათთან ლენინგრადელებმა ლიუდმილა სმირნოვამ და ანდრეი სურაიკინმა.

სურათზე: ოლიმპიური ჩემპიონები წყვილთა ფიგურულ სრიალში ი. როდნინა და ა. ულანოვი.

ჭალათბურთი

პირველი წრის შუალედური მატჩები

ამოიწურა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის შეხვედრები კალათბურთში უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდებისათვის. უკანასკნელი ორი მატჩი შედგა მოსკოვსა და კიევში. მოსკოვში დედაქალაქის დინამოელებმა დამარცხეს ტარტუს „კალევი“ 85:70. შეხვედრა კიევში ადგილობრივი „სტროიტელისა“ და თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდებს შორის დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით 76:68.

პირველი წრის შემდეგ საბურნირო ცხრილის სათავეში ვხედავთ ლენინგრადის „სპარტაკს“, რომელმაც ცხრა შეხვედრიდან ცხრაჯერ მოიგო. ლიდერს ერთი ქულით ჩამორჩენილ მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელებმა, „რომლებიც სტუმრად არიან ბულგარეთში, ქალაქ პაზარჯიკში დაამარცხეს ადგილობრივი გუნდი „მარიცა“ ანგარიშით 3:1 (3:1). ორი ბურთი გაიტანა გერშკოვიჩმა, ერთი მახოვიკოვმა. გუშინ დინამოელებს პლოვდივში ჰქონდათ მატჩი, 12 და 15 თებერვალს ითამაშებენ სოფიაში. (საკდესი).

ერთმა გოლმა გადაწყვიტა...

გლაზგო, 8 თებერვალი. (საკდესი). კიევის „დინამოს“ ფეხბურთელებმა ამხანაგური მატჩი წააგეს ადგილობრივი „სელტიკის“ გუნდთან ანგარიშით 0:1 (0:1). გოლი რუდაკოვის კარში მე-15 წუთზე გაიტანა შოტლანდიელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა დალგლიშმა. მორიგ მატჩს კიეველები ითამაშებენ ინგლისის „შეფილდ იუნაიტედის“ კლუბთან.

ჭადრაკი

ტურნირი რეიკიავიკში

რეიკიავიკი. ხუთი გროსმაისტერი მონაწილეობს საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში, რომელმაც სტარტი აიღო ისლანდიის დედაქალაქში. მათ შორის არის ორი საბჭოთა გროსმაისტერი — ლევონიდ შტეინი და ვლადიმერ ტუკმაკოვი. დანარჩენები კი არიან ვლასტიმილ პორტი (ჩეხოსლოვაკია), ფლორენ გეორგიუ (რუმინეთი) და ფრიდრიკ ოლაფსონი (ისლანდია). პირველ ტურში შტეინმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ინგლისელ რაიმონდ კინთან, ტუკმაკოვმა დაამარცხა ერთ-ერთი მასპინძელი იუფონ კრისტიანსონი. შვედმა საერთაშორისო ოსტატმა ულფ ანდერსონმა, გადადო პარტია ჰოლანდიელ იან ტიმანთან. (საკდესი).

ადამიანი და ბუნება

გადაარჩინეს შვლები

შუახევი, 8 თებერვალი. (საქდესის კორ.). დიდმა თოვლმა და სუსხმა წლევანდელი გაჟიანურებული ზამთრის დროს დალუპვის საფრთხე შეუქმნა რესპუბლიკის მაღალი მთის რაიონების ფაუნას.

გასაჭირში მოხვედრილი შვლები, გარეული ღორები და სხვა ცხოველები ხაჭმლის საშოვნელად ბარში ჩამოვიდნენ. მათ ეხმარებიან კოლმეურნეები, მონადირეები, მოსწავლეები. ბევრ ტაესპირა ადგილას დაეწყვეთოვა და ჩალა, დადგეს საკვებურები და დაყარეს მარილი.

ერთ საღამოს შუახევის რაიონის მცხოვრებს გ. დიასამიძეს გზაზე თოვლით ჩაჩუმქრული შველი შეუნიშნავს. გ. დიასამიძემ იგი შინ მიიყვანა. ოჯახის წევრებმა ტყის სტუმარს ზრუნვა არ მოაკლეს და კარგად მოუარეს. ახლა შველი აქარის მონადირეთა კავშირის ჩაქვის მეურნეობაშია.

ნაღდი სიკვდილისაგან იხსნა სამი უმწეო შველი კოლმეურნე ნ. მიქელაძემ. ცხოველები დააბინავეს თბილ ფარდულში, მოუარეს და ჩაებარეს ტიკერის ნაკრძალში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიული-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის

თბილისის № 60 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1972-73 სასწავლო წლისათვის ქართული და რუსული სექტორის შემდეგ სპეციალობებზე:

1. პლასტმასის მწნეხავი, 2. მტვიფრავები, 3. ელექტრომონტაჟიები, 4. ხარატები, 5. მექანიკური სამუშაოთა ამწყობი ზეინკლები, 6. ავტომექანიკოსები, 7. მშენებლები.

სასწავლებელში მიიღებიან გოგონები და ვაჟები საშუალო განათლებით 17-დან 25 წლამდე ასაკისა.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას 23-36 მან. ოდენობით მოსამზადებელი პროფესიების შესაბამისად, აგრეთვე საწარმოო პრაქტიკის პერიოდში გამომუშავებული ხელფასის 33 პროცენტს. მოსწავლეები, რომლებიც სასწავლებელს დაამთავრებენ ფრიადზე, უმაღლესი სასწავლებლის დაუსწრებელ და საღამოს განყოფილებებზე ჩარიცხებიან კონკურსგარეშე. მოსწავლე ვაჟებს ეძლევათ გადავადება სამხედრო სამსახურიდან, ერთი წლით.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით: 1. საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი); 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 4. ფოტოსურათი (3X4) 6 ცალი, 5. პასპორტი და სამხედრო ბილეთი ან მიწერის ბარათი უნდა წარმოადგინონ პირადად.

სასწავლებელში ახალგაზრდების მიღება წარმოებს საკონკურსო შერჩევით საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატში აღნიშნული ნიშნების საფუძველზე.

სწავლა იწყება 1 მარტს.

მისამართი: თბილისი. აკ. წერეთლის პრ. 189, № 60 ტექნიკური სასწავლებელი. ტრამვაი: № 1, 10, 3, ავტობუსი: № 1, 43, 46, 25, მეტრო დიდუბე. ტელეფონი: 66-45-27, ადგილობრივი 5-53.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის

თბილისის № 26 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1972 წლის I და II კვარტალისათვის

სასწავლებელი ამზადებს:

1. ფართო პროფილის მეტრომშენებლებს, 2. ხარატებს, 3. ელექტროზეინკლებს, 4. ზეინკალ-სანტექნიკოსებს, 5. ამწყობ ზეინკლებს, 6. ზეინკალ-შემკეთებლებს, 7. ელექტრო-შემდუღებლებს, 8. ელექტრო-მონტიორებს, 9. ხიდური ამწის მძღოლებს, 10. მხახველებს, 11. შამპანური ღვინოებისა და უალკოჰოლო სასმელების ჩამოსასხმელმეავარაკეებს, 12. ავტოშემკეთებელ-ზეინკლებს, 13. შემღებავ-მღებავებს.

სასწავლებელში მიიღებიან 16-30 წლის ასაკის ახალგაზრდები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო ან არასრული საშუალო სკოლა. სწავლების პერიოდში მოსწავლეებს ძიეცემათ სტიპენდია და პრაქტიკის პერიოდში გამომუშავებული თანხის 33 პროცენტი, აგრეთვე სპეციალისტმეტი. რიონებიდან ჩაძოსული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით.

საშუალო განათლების მქონე მოსწავლეები, რომლებიც სასწავლებელს დაამთავრებენ წარჩინებით, უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხებიან კონკურსგარეშე, დანარჩენები კი საერთო წესით, მოსწავლეებს სწავლების პერიოდი ეთვლებათ მუშაობის სტაჟად.

განცხადება ჩარიცხვის შესახებ შეტანილ უნდა იქნას მიმღები კომისიის მდივანთან შემდეგი საბუთების თანდართვით: 1. განცხადება, 2. ავტობიოგრაფია, 3. განათლების დამადასტურებელი საბუთი (დედანი), 4. დაბადების მოწმობა (დედანი), 5. პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მისაწერი მოწმობა, 6. ოთხი ცალი ფოტოსურათი ზომით (3X4).

განცხადებები მიიღება ა. წ. 1 მარტამდე, მეცადინეობა დაიწყება 5 მარტს.

მისამართი: ქ. თბილისი, ძმ. გარიშვილების ქ. № 6 (ელმავალმშენებელი ქარხნის მოპირდაპირე მხარეს). ტელეფონები: 66-40-33; 66-39-06; 66-83-71. ტრანსპორტი რკინიგზის სადგურიდან — ავტობუსი: 11, 31, 62. მეტრო დიდუბედან ტრამვაი 3, ავტობუსი 9, 57, 55, 63, 24.

შენიშვნა: მხაზველებისა და ჩამომხსნელი მეავარატეების სპეციალობებზე მიიღებიან მხოლოდ გოგონები.

თბილისის № 23 ქალაქის პრიფტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1972-1973 სასწავლო წლისათვის შემდეგ პროფესიებზე

1. მრთველები, 2. მფთილაები, 3. მქსელავი-მქსოველები, 4. საანგარიშო ახალიშური ძანქანების ოპერატორები.

სასწავლებელში მიიღებიან 15-25 წლის ასაკის 7, 8, 9 კლასის და საშუალო განათლების მქონე გოგონები.

მოსწავლეები სწავლების პერიოდში უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო კვებით, ბინით, ტანსაცმლით, კომუნალური მომსახურებით. და მიიღებენ პრაქტიკის დროს გამომუშავების 33 პროცენტს.

სასწავლებელში სწავლების დრო ეთვლებათ მუშაობის საერთო სტაჟში. იმ მოსწავლეებს, რომელთაც საშუალო განათლება აქვთ და სასწავლებელს წარჩინებით დაამთავრებენ, უფლება ეძლევათ ჩაირიცხონ უმაღლეს სასწავლებელში წარმოებისგან მოუწყვეტლივ მონათესავე სპეციალობაზე კონკურსგარეშე.

სასწავლებელში არის და მოქმედებს ჭრა-კერვის წრე, მსურველებს შეუძლიათ დაეუფლონ ჭრა-კერვის სპეციალობასაც.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 4. ავტობიოგრაფია, 5. ფოტოსურათი (4X5) 4 ცალი, 6. პასპორტი.

შენიშვნა: ოპერატორების ჯგუფში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე, თბილისში მცხოვრები გოგონები.

მეცადინეობა დაიწყება 15 მარტს.

მისამართი: თბილისი, ლენინის რაიონი, ტროიკოფის ქუჩა № 3, № 23 პროფტექნიკური სასწავლებელი. ტრანსპორტი: ავტობუსი: 18, 31. ტრამვაი: 1, 11, 6, მეტრო: სადგური „ელექტროდეპო“. ტელეფონი: 66-19-55.

დისერტაციების დაცვა

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 3, ფიზიკის დიდი აუდიტორია)

19 თებერვალს, დღის 2 საათზე ალექსანდრე გაბრიელის-ძე ბამისთალოვი ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ბრტყელი სახეების ინტეგრალური ნიშნები“.

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 11, № 1 აუდიტორია)

28 თებერვალს, დღის 4 საათზე ციალა ნიკოლოზის ასული ღვინიაშვილი ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „გვარ ლაჭარას კავკასიის წარმომადგენლები“.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

სამეცნიერო საბჭოს ლიაქ სხდომაზე 1972 წლის 25 თებერვალს დღის 1 საათზე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავს ალექსანდრე იოსების-ძე ბრეგაძე თემაზე: „საბჭოთა საქართველოს კავების მრეწველობის და მისი სანედლეულო ბაზის შექმნისა და განვითარების ისტორია“.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში ძერძინსკის ქ. № 8.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი

21 თებერვალს, დღის 12 საათზე, ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (მახარაძის 14) ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ზალვა თადეოზის-ძე ჭიღლაძე დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ძირითადი ფონდებისა და დამატებით კაპიტალდაბანდებათა ეკონომიური ეფექტიანობის საკითხები საქართველოს სსრ მეცენახეობის საბჭოთა მეურნეობებში“.

24 თებერვალს, დღის 2 საათზე ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (მახარაძის, 14) ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თეიმურაზ ელიზბარის-ძე კანდელაკი დაიცავს დისერტაციას თემაზე: „საქართველოში ბამბუკის სამრეწველო პლანტაციების გაშენების ეკონომიური ეფექტიანობა და მისი ნედლეულის გამოყენების პერსპექტივები“.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

მგზავრთა საყურადღებოდ



საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მგზავრთა მიმოსვლის ცენტრალური საბაგენტო საპაერო მგზავრებს აცნობებს რომ ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის თანახმად 1972 წლის თებერვალში ამინდი თუმცა უმნიშვნელო მერყეობა იქნება, მაგრამ საჰაერო ტრანსპორტის მოძრაობაზე (სარეისო თვითმფრინავების მიმოსვლაზე) არსებითად გავლენას ვერ მოახდენს, რესპუბლიკის ფარგლებში ადგილობრივ საჰაერო ხაზზე ცალკეული შემთხვევების გარდა, სადაც ფრენა შესაძლებელია, მოხდება უმნიშვნელო შეფერხება.

პირველი მსოფლიო ომის, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ინვალიდებს, შრომის ინვალიდებს და ინვალიდებს დაბადებიდან—50-პროცენტ შეღავათიანი ბილეთის შეძენა შეუძლიათ საერთო წესით, თვითმფრინავით გაფრენამდე 10 დღით ადრე.

ტურისტებს, საექსკურსიო ბიურო „საგზურით ირანკლეტ 15 კაცისა ეძლევათ 30 პროცენტი შეღავათი და 10 დღით ადრე გაფრენამდე ბილეთების შეძენით.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მგზავრთა მიმოსვლის ცენტრალური საბაგენტო გეპტიეებთან გასაფრენად მივლინებებში, შვებულებაში, საექსკურსიოდ და პირადად საქმეზე ყველა მიმართულებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის

თბილისის № 60 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1972-73 სასწავლო წლისათვის ქართული და რუსული სეტორის შემდეგ სპეციალობებზე:

1. პლასტმასის მწნეხავი, 2. მტვიფრავები, 3. ელექტრომონტაჟიები, 4. ხარატები, 5. მექანიკური სამუშაოთა ამწყობი ზეინკლები, 6. ავტომექანიკოსები, 7. მშენებლები.

სასწავლებელში მიიღებიან გოგონები და ვაჟები საშუალო განათლებით 17-დან 25 წლამდე ასაკისა.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას 23-36 მან. ოდენობით მოსამზადებელი პროფესიების შესაბამისად, აგრეთვე საწარმოო პრაქტიკის პერიოდში გამომუშავებული ხელფასის 33 პროცენტს. მოსწავლეები, რომლებიც სასწავლებელს დაამთავრებენ ფრიადზე, უმაღლესი სასწავლებლის დაუსწრებელ და საღამოს განყოფილებებზე ჩარიცხებიან კონკურსგარეშე. მოსწავლე ვაჟებს ეძლევათ გადავადება სამხედრო სამსახურიდან, ერთი წლით.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით: 1. საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი); 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 4. ფოტოსურათი (3X4) 6 ცალი, 5. პასპორტი და სამხედრო ბილეთი ან მიწერის ბარათი უნდა წარმოადგინონ პირადად.

სასწავლებელში ახალგაზრდების მიღება წარმოებს საკონკურსო შერჩევით საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატში აღნიშნული ნიშნების საფუძველზე.

სწავლა იწყება 1 მარტს.

მისამართი: თბილისი. აკ. წერეთლის პრ. 189, № 60 ტექნიკური სასწავლებელი. ტრამვაი: № 1, 10, 3, ავტობუსი: № 1, 43, 46, 25, მეტრო დიდუბე. ტელეფონი: 66-45-27, ადგილობრივი 5-53.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. თ. ე. ბალანჩივაძე დანიშნა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილედ.

ამინდი

გუშინ, დღეს

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს მეტ წილ რაიონებში ყვავლგან ბარდნიდა, ყინავდა დღისით და ღამითაც, განსაკუთრებით უსვად თოვდა თბილისში. აქ თოვლის საფარმა 23 სანტიმეტრს მიაღწია, 12 საათზე ჩვენს დედაქალაქში თერმომეტრი უჩვენებდა 5 გრადუსს ყინვას.

რიონის ხეობაში ქრიდა შტორმული ქარი, რომლის სიძლიერე ქუთაისში უდრიდა წამში 30 მეტრს, სურამის უღელტეხილზე ძლიერი ქარბუქის გამო მოძრაობა შეფერხდა.

დღეს, 9 თებერვალს, დასავლეთ საქართველოში უმეტესად უნალიქო ამინდი იქნება, რიონის ხეობაში იქროლებს წამში 15-21 მეტრი სიძლიერის ქარი. ტემპერატურა ბარში დღისით 2-7 გრადუსი სითბო, ღამით ნული, 5 გრადუსი ყინვა, თბილისში დღისით 4 გრადუსი ყინვა, ერთი გრადუსი სითბო, ღამით 10-15 გრადუსი ყინვა.

აღმოსავლეთ საქართველოს ადმოსავლეთ რაიონებში მოსალოდნელია ნისლი და თოვა. ტემპერატურა დღისით ბარში 1-6 გრადუსი, ღამით 10-15 გრადუსი ყინვა, თბილისში დღისით 5-10, ღამით 16-21 გრადუსი ყინვა.

თბილისში დღეს ეთვლება ოთხ ფარდულში.

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ბეთოვენი; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კოლმეურნის ქორწინება; რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — მოულოდნელი სტუმარი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ნუ გეშინია, დედა!; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ცოლები და ქმრები.

ტელევიზია

9 თებერვალი

პირველი პროგრამით

11.05 — ლიტერატურული კითხვა, 12.00 — ფერადი ტელევიზია. „ზამთრის XI ოლიმპიურ თამაშებზე“ (გადმოცემა იაპონიიდან), 13.30 —სატელევიზიო მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმი — „საბჭოთა საქართველოს ნახევარი საუკუნის მატიანე“. მეშვიდე სერია — „ქედუნრელი კავკასიონი“ (1942-1945 წ.) საქართველოს ტელეფილმების სტუდიის ნაწარმოები, 17.05 „ქიმია დასახმარებლად“, 17.50 — კინონარკვევი — „ტაიგის ნოველები“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10—ფილოსოფიის შემსწავლელთა დასახმარებლად — მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება კლასებისა და სახელმწიფოს შესახებ“, 18.25 — განცხადებები, 18.30 — მოსწავლეთათვის „ეუთორსტული მოთხრობები“ (გადმოგება მოსკოვიდან), 19.00 — მოსწავლეთათვის — „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“, 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.25 — „მოწინავე გამოცდილების სკოლა“, 20.40 — „ძველი ქართული კულტურის ძეგლები“, 21.05—ჟონან დოილი, სატელევიზიო დადგმა „მოცეცვავე კაცუნები“, 22.00 — „ეურმია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ფერადი ტელევიზია. „ზამთრის XI ოლიმპიურ თამაშებზე“ (გადმოცემა იაპონიიდან).

მეორე პროგრამით

18.20 — სკოლების დასახმარებლად — ქიმია („ატომის აღნაგობა“ VIII კლასელთათვის), 19.05 — განცხადებები, 19.10 — ტექნიკუმის მოსწავლეთა დასახმარებლად — ლექცია ტექნიკურ მექანიკაში, 19.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია პოლიტიკურ ეკონომიაში, 20.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. დოკუმენტური ფილმი „ტარტინო 1812“, 21.00 — „კინოფიმა“, 21.30 — მხატვრული ფილმი — „შავი მზე“.

10 თებერვალი

პირველი პროგრამით

11.05 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი — „კულეშოვის ეფექტი“, 12.00 — ფერადი ტელევიზია. „ზამთრის XI ოლიმპიურ თამაშებზე“ (გადმოცემა იაპონიიდან), 13.30 — მხატვრული ფილმი — „კანონირ დოლასის თავგადასავალი“ (მეორე სერია), 17.05 — ბიბლიოფილთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 17.50 — ბავშვებისათვის. მოკლემეტრაჟიანი ფილმები: „ზღაპარი თურქზე“ და „ზღაპრული ტყეში“, 18.10 — განცხადებები, 18.15 — „სსრკ-50“. „საბჭოთა სახელმწიფო — თანასწორუფლებიან ხალხთა მძლავრი კავშირი“, 18.30 — კინონარკვევი „ბიბისახი“, 18.40 — კონცერტი, 19.10 — „საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობის შესახვედრად“, 19.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.55 — სატელევიზიო მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმი — „საბჭოთა საქართველოს ნახევარი საუკუნის მატიანე“ (მერვე სერია), „მშვიდობის დროშით (1946-1952 წ.), საქართველოს ტელეფილმების სტუდიის ნაწარმოები, 20,45 — დოკუმენტური ფილმი „სიონიზმის დამღუშველი კურსი“ (ქართულ ენაზე), 21.00 — ფერადი ტელევიზია. „ზამთრის XI ოლიმპიურ თამაშებზე“ (გადმოცემა იაპონიიდან), 21.45 — „ეროვნია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — ფერადი ტელევიზია. „ზამთრის XI ოლიმპიურ თამაშებზე“ (გადმოცემა იაპონიიდან).

მეორე პროგრამით

18.20 — სკოლების დასახმარებლად — სტატია „ზღაპრების სამყაროში“ დასურათება), 19.05 — დოკუმენტური ფილმი — „ჯადოქრობა“, 19.50 — განცხადებები, 19.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მხაზველობით გეომეტრიაში, 21.25 — მხატვრული ფილმი — „ფარსულის გამოძახილი“.

თეატრები

9 თებერვალი

ა. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ბეთოვენი; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კოლმეურნის ქორწინება; რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — მოულოდნელი სტუმარი; მარჯანიშვილის სახელობ